ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №155331

ნომერი: AR138676

თარიღი : 11.04.2012

გაცემის თარიღი : 18.05.2012

გაცნობის თარიღი : 01.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროსადგურ ვარკეთილის მიმდებარედ (ნაკვეთი 04/033);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბ მალაზონია პ/ნ 01013019820
- თბილისი ჯავახეთის ქ. N 10 ბ. 19

ორგანიზაცია:
- შპს `ANDRIA` კოდი: 406066457

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 ივლისი #01/2021 ბრძანებასა და #ნ/2137–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში ცვლილების შეტანს თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 11 აპრილს #არ138676 განცხადებით მომართა შპს „ანდრია“–ს დირექტორმა ზურაბ მალაზონიამ და მოითხოვა არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2011 წლის 27 ივლისის #01/2021 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: დამკვეთად ლევან გობეჯიშვილის ნაცვლად შპს „ანდრია“–ს დაფიქსირება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ –თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 ივლისის #01/2021 ბრძანებით ქ. თბილისში, მეტროსადგურ „ვარკეთილი“–ს მიმდებარედ (ნაკვეთი #04/033) შეთანხმდა შერეული ფუნქციის შენობა–ნაგებობების არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებელობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/2137–1), რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრა 2013 წლის 03 თებერვლამდე.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად შეცვლილია საპროექტო ობიექტის მესაკუთრე და დღეის მდგომარეობით ლევან გობეჯიშვილის ნაცვლად მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,ანდრია'' ID ნომერით: 406066457 (ამონაწერის რეგისტრაციის # 882012123029; მომზადების თარიღი: 29.03.2012წ. საკადასტრო კოდი: 01.19.36.004.033). ამასთან, საპროექტო მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრე და სამშენებლო დოკუმენტაციაში დამკვეთად მითითებული ლევან გობეჯიშვილი, დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებული განაცხადის რეგისტრაციის დროს, ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე რეგისტრირებული თანაგამცხადებლად, რაც ადასტურებს მის თანხმობას ინიდივდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანაზე.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

ვინაიდან, დღეის მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,ანდრია'', რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი და ამასთან, ადმინისტრაცულ აქტში მანამდე დამკვეთად დაფიქსირებული პირი განაცხადის რეგისტრაციის დროს მითითებულია თანაგანმცხადებლად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.07.2011წ. #01/2021 ბრძანებასა და #ნ/2137–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ: დამკვეთად ლევან გობეჯიშვილის ნაცვლად დაფიქსირდეს შპს ,,ანდრია''(ID ნომერი: 406066457);

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ _ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.07.2011წ. #01/2021 ბრძანებასა და #ნ/2137–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.